

# ნორა

## და თოვლი



როგორ ფიქრობ, რაზეა ფამოკიფებული ამინდის წვლა? ნაიყითხე ტექსტი და შეამონე შენი ვარაუდი.

**ამინდი** წელიწადის დროების მიხედვით იცვლება. ხან თოვს, ხან წვიმს, ხან **მწველი** მზეა და ხან ცივი ქარია. ამინდს სამი რამ ქმნის. ეს არის მზე, ჰაერი და წყალი. მზე ათბობს. ჰაერის მოძრაობა ქმნის ქარს. ხოლო წყალი თოვლისა და წვიმის სახით მოდის. მას ნალექი ჰქვია.

საიდან მოდის წვიმა და თოვლი? რით ჰგავს ისინი ერთმანეთს და რით განსხვავდება?

გაიხსენე წყლის დუღილი. ამ დროს ჩაიდნიდან ორთქლი გამოდის და ზევით ადის. ასევე ხდება ბუნებაშიც. მზე რომ აცხუნებს, წყალი ორთქლდება და ცაში ადის. იქ ღრუბლებად გადაიქცევა. **ღრუბლებს** თანდათან ემატება ორთქლი. ღრუბელი მძიმდება. იქიდან წვეთები ცვივა და იწყება წვიმა. თოვლის ფიფქები და წვიმის

წვეთები ერთნაირად წარმოიქმნება. თუ ძალიან ცივა, წვეთები იყინება და ფიფქებად გადაიქცევა.

როცა თოვლი მოდის, ჩუმი ხმა ისმის. თითქოს თოვლი შრიალებს. ეს ფიფქების მსხვრევის ხმაა. ფიფქები ძალიან ლამაზია. ზოგი დიდია, ზოგი – პატარა. ზოგი ვარსკვლავს ჰეგავს, ზოგი – ყვავილს. ორი ერთნაირი ფიფქი არ არსებობს. ასევე საინტერესოა, რომ დედამინის მოსახლეობის ნახევარს თოვლი არასდროს უნახავს.

წვიმის წვეთები მხოლოდ ზომით განსხვავდება ერთმანეთისგან. ზოგი წვეთი დიდია, ზოგიც – პატარა. ამიტომაც წვიმაში ხან ძალიან ვსველდებით, ხან – ოდნავ. წვიმაც და თოვლიც მნიშვნელოვანია დედამინისთვის. თუმცა ხანგრძლივი ნალექი პრობლემებს უქმნის ადამიანებს.

დაფიქრდი, წვიმიანი ამინდი უფრო მოგწონს თუ თოვლიანი? რაჭომ?

## ►►► ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

### 1 რით ჰგავს წვიმა და თოვლი ერთმანეთს?

- ა) ორივე ძალიან ცივი ამინდის დროს წარმოიქმნება.
- ბ) ორივე წყლის აორთქლების შედეგად წარმოიქმნება.
- გ) ორივე ჰაერის მოძრაობის შედეგად წარმოიქმნება.

### 2 თოვლი წვიმისაგან განსხვავდება იმით, რომ:

- ა) თოვლი ფიფქის სახით მოდის.
- ბ) თოვლი ღრუბლებიდან მოდის.
- გ) თოვლს ნალექი ჰქონია.

### 3 რა აქვთ საერთო წვიმასა და თოვლს?

- ა) წვიმა და თოვლი მხოლოდ ძლიერი სიცივის დროს მოდის.
- ბ) წვიმამ და თოვლმა შეიძლება პრობლემა შეუქმნას ადამიანს.
- გ) წვიმის წვეთები და თოვლის ფიფქები ვარსკვლავებს ჰგვანან.

### 4 რომელი ინფორმაცია არ შეესაბამება ტექსტს?

- ა) თოვლი წვიმისაგან არაფრით განსხვავდება.
- ბ) თოვლი დედამიწის ყველა ნაწილში არ მოდის.
- გ) გაყინული წვეთები ფიფქებად გარდაიქმნება.


**ლექსიკა**
**1** გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. **ამინდი** წელიწადის დროების მიხედვით იცვლება.  
ა) დარი.      ბ) დრო.      გ) ტემპერატურა.
2. ხან წვიმს, ხან **მწველი** მზეა.  
ა) კაშკაშა.      ბ) მცხუნვარე.      გ) ცხრათვალა.
3. **ღრუბელი** მძიმდება. **ღრუბელი** არის:  
ა) თოვლის კრისტალი, რომელიც ციდან ცვივა დედამიწაზე.  
ბ) ნალექი, რომელიც ყინულის ჰატარა მარცვლების სახით მოდის.  
გ) წყლის შესქელებული ორთქლი, რომელიც ჰაერში დაგროვდა.

**2** რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები)?

- ა) გადაიქცევა – გარდაიქმნება.    ბ) ემატება – აკლდება.    გ) მძიმდება – მსუბუქდება.

**3** დაწერე სიტყვა „ხანგრძლივის“ ანტონიმი.

ხანგრძლივი – ----- .


**გრამატიკა**
**1** დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა შესაბამისი ფორმით.

1. (ჩაიდანი) ----- ცეცხლზე დადგმა არ დაგავიწყდეს.
2. ორთქლი (ღრუბელი) ----- გადაიქცა.

**2** დაწერე ნიმუშის მიხედვით.

**ნიმუში:** ორთქლი – ორთქლდება

მძიმე – ----- .      ცივი – ----- .


**გრამატიკა**

**3** სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. ფიფქების ----- ხმა ისმის. (**მტვრევის / მსხვრევის**)

2. ციდან წვეთები ----- . (**ცვივა / ვარდება**)


**ნირა**

**1** შეავსე ვენის დიაგრამა წვიმისა და თოვლის საერთო მახასიათებლების მიხედვით.

**წვიმა**

1. დამძიმებული წვეთები ღრუბლებად გადაიქცევა.

**საერთო**

1. ორივე ნალექია.  
2. ორივე წარმოიქმნება...

**თოვლი**

1. წვეთები იყინება და ფიფქებად გადაიქცევა.

**2** შეადარე თოვლიანი და წვიმიანი ამინდები ერთმანეთს. გაიხსენე: რა ახასიათებს თოვლეულს; რას აკეთებენ ბავშვები; რას იცვამენ; რა უხარისათ; რატომ მოგწონს ან არ მოგწონს პირადად შენ წვიმიანი ან თოვლიანი ამინდი და სხვ.

**წვიმიანი ამინდი****საერთო****თოვლიანი ამინდი**